ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1092693

ნომერი: AR1191360

თარიღი : 20.01.2014

გაცემის თარიღი : 23.01.2014

გაცნობის თარიღი : 27.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 20 იანვარს #AR1191360

განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ბრძანების თარიღის და ნომრის მითითების ნაწილში.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებით გასწორდა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 დეკემბრის #1023845 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა კერძოდ, B ბლოკის საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად 711,5 მ2–ის ნაცვლად დაფიქსირდა 7115,5მ2.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული იმ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი და ნომერი, რომლის ტექნიკური შეცდომის გასწორებაც ამ აქტით მოხდა. კერძოდ, ბრძანების ნომრად და თარიღად 2013 წლის 02 დეკემბრის #1023845–ის ბრძანების ნაცვლად მიეთითა 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისა თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 ბრძანებაში, კერძოდ: ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღად და ნომრად მიეთითოს 2013 წლის 02 დეკემბრის #1023845;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 06 დეკემბრის #1031039 და 2013 წლის 02 დეკემბრის #1023845 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.